საექსპედიციო კორპუსის სარდალი
გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ
კრესენშტაინი

რის კრეს ფონ კრესენშტაინი დაახლო-
ებით 800 კაცს ახატელებს.

გაიგო თუ არა დესანტის გადმოს-
ხმის აზბაჯი, გენერალი მანნააშვილი
„მიხაილითა“ და ორი გამანადგურებ-
ლით კოლონისკენ წვიდა.

როგორც ქართული გენერალი იხ-
სენებდა, დესანტირების ადგილზე მი-
სულმა ოსმალ ოფიცერს შიკრიკი გაუ-
გზავნა და სალაპარაკოდ შარვაშიძის
მამულში შეჭდა.

თურქმა ოფიცერმა განაცხადა, რომ
აფხაზეთში მიატყვეს, დაარქმუნეს,
რომ დიდი პატივით დახვდებოდნენ.

„დარქმუნდა რა, რომ ქართული ჯა-
რებით იყო გარშემორტყმული და თურ-
ქეთის მთავრობას საქართველოსთან
საქმის გართულება არ სურს, მოითხო-
ვა, რომ უკან, ბათუმში გადაეყვანათ“.

„მიხაილითა“ კი ბრძანება მიიღო,
რომ სოხუმთან 2 ბარჯა წამოეყვანა,
თურქების უფროსი გადაეყვანა და გარნი-
ზონის უფროსისთვის გადაეცა.

„მიხაილითა“ და გამანადგურებელი
კატარალებს („არსენაილის“ ერთ-ერთ
უახლეს ნომერში ამის შესახებ მოვით-
ხრობთ) აქტიურობა განაპირობა დი-
ვიზიონის მეთაურის, ლეიტენანტ თეო-
დორ სპაიეს საზღვაო გამოცდილებამ.

რუსეთის ფლოტის ცენტრალურ
„ოფიცერმა საქართველოს რესპუბლი-
კას იმ პერიოდში დიდი სამსახური გა-
უწია. 1918 წლის ზაფხულში ის თეთ-

რგვარდელთა შუი ზღვის ფლოტს
შეუერთდა და შემდეგ დამოუკიდებელი
ლატვიის სამხედრო-საზღვაო ფლო-
ტის პირველი სარდალი იყო.

კავკასიის სანაპიროსთან აქტიური
ოპერირების შემდეგ „მიხაილს“ გერე-
მონტაჟა დასჭირდა.

1918 წლის 1-ელ ოქტომბერს სოჭის
მიმართლებას ერთ-ერთი სარდალი,
გენერალი ტრახსი ვაშაქიძე სოჭიდან
ტელეფონირებდათ სამხედრო სამი-
ნისტროს სწერდა:

„შეიარაღებული ტრანსპორტი „მი-
ხაილი“ ქაბების სიძველის გამო
მწურობიდან არის გამოხული და მას
კაპიტალური რემონტი ესაჭიროება,
ამის გამო გთხოვთ „მიხაილის“ კაპი-
ტანმა მარჯანოვმა (მარჯანიშვილმა)
აქამად საქართველოს რესპუბლიკის
შუი ზღვის ფლოტის სარდალის თა-
ნამდგობა შეასრულოს. მარჯანოვ-
მა მწურობა უნდა შეიყვანოს ფოთში
ერთ-ერთი ნაღმოსანი და აუცილებე-
ლად მოლაპარაკებები გერმანელების
სარდალობასთან ნაღმოსნის გადაცემის
თაობაზე“.

სამწუხაროდ, ქართული ფლოტის
ფლავმანის გარემონტება ვერ მოე-
წერა — ქარიშხალმა „მიხაილი“ სი-
ჭის მახლობლად ნაპირზე გამოირია.

ქართული გვარდიის სარდალი ვა-
ლოკ ჯუღელი მოგონებებში წერს:
„უბედური დღეა. ზღვაზე სამხედრო
ქარიშხალია. საღამოს დაუბერა „მო-
რიაკმა“ და ღამით სამხედრო გრიგული
ამოფრდა. საქართველოს რესპუბლი-
კის მიუღო „ფლოტი“ სოჭიდან დაიღუ-
პა. ძალიან მძიმე მდგომარეობაა. მე
ადგილს ვერ ვახსოვლობ ღამით სამო-
ხედო ტანჯვა გადავიტანეო. მე ვხედავ-
დი ჩვენი ფლოტის დაღუპვას და ტაღ-
ლებსეგან დამსხვრეული ბარჯის ყრუ
კრესს მესმოდა. ჩვენი „მიხეული“ უკვე
ნაპირზეა გამოირეული, ხოლო უზარ-
მაზრობა ბარჯა გვერდზე წევს“.

მახლობლად მყოფმა „თურაიდის“
კაპიტანმა სუსტი მანქანებისა და ქვა-
ნახშირის უქონლობის მიზმეზებით
დახმარების გაცეისხავან ათი შეიკა-
ვა. ამ დროს ბორტზე საქართველოში
გერმანიის სამხედრო-საზღვაო წარ-
მომადგენელი, კაპიტან-ლეიტენანტი
ქრისტინსენი იმყოფებოდა.

მოგვიანებით ეს შემთხვევა კაპი-
ტან მარჯანიშვილის გამოუცდლობას
დაბარჯიანად, არადა, მანამდე მისი პრო-
ფესიონალში არაფის აუქვებდა.

ქართული ფლოტისთვის „მიხა-
ილი“ იმდენად დიდი იყო მცურავი
საშაულებია იყო, რომ მისი გადარჩე-

ნა საჭიროდ ჩაითვალა და ამისთვის
სამშველო ოპერაციის ორგანიზებაც
ჩატარდა — 5 ოქტომბერს შემოხვე-
ვის ადგილისკენ ტუფისკენ პორტიდან
მიწამხავე „პოლუქსი“ გვიდა. მას
შეუერთდა ფოთიდან გაგზავნილი ბუქ-
სირი „მუშა“ (წყალწევა 34,6 ტ, სი-
ჩაქე 8 კვანძი), რომლის ბორტზეც
გამოცდილი გერმანელი მესხეაური
(საჰაერო-სამაშველო სპეციალისტის)
და ოპერაციის ხელმძღვანელი — ინ-
ჟინერი ჯავახიშვილი იყვნენ.

28 ოქტომბერს სამაშველო ოპერა-
ციის პირველი ეტაპი დაიწყო. გემის
მასის შესამცირებლად გადმოიტვირ-
თა 5 ათას ფუთი (82 ტონა) ქვანახში-
რი და ჭურჭები. დემონტაჟი გაუკეთდა
გემბანის ინჟინტარს, მანქანების წაწი-
ლებსა და ორ ქვეშებს.

მეცნიერებმა კორპუსი შიგნიდან
დაათვალიერეს და საფინიეროდ ღრი-
კოები არ აღმოჩნდა.

15 ნოემბერს ქვანახშირის გადმოტ-
ვირთვა დასრულდა და 5 ტუმბოთი ტრი-
უმბიდან წყალი ამოქაქეს. მამულებს
გერმანელებმა ბუქსირად ორთქლის-
ძრავიანი მშენა „ადოლეფი“ (ყოფილი
რუსული მტრალაუკ T-260) მამულებს
და „მიხაილის“ ზღვისკენ 3-3,5 მ-ით გა-
ათრის. მთორ დღეს ანძიდი გაუარეს-
და და ამოფრანდილმა ქარმა ოპერაციის
გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

მუშაობა ათვიან დაიწყო. გადწ-
ვეიტეს 4-4,5 მ სიგრძის არხის გათხრა,
მაგრამ სამდღიანმა მუშაობამ ნაყოფი
არ გამოიღო. ბუქსირმა „მუშამ“ ტრი-
უმბიდან წყალი ხელმეორედ ამოქაქა,
ხოლო ორთქლისძრავიანმა საბუქსირე
გემებმა „ჰორნოვმა“ (300-ცხ.ძალიანი
ძრავა) და „თურაიდამ“ (200-ცხ.ძალი-
ანი ძრავა) „პოლუქსიან“ ერთად გემი
ზღვისკენ გაქაქეს.

28 ნოემბერს, დილის 5 საათზე,
„მიხაილის“ ზღვაში გაგვანა მოხერხდა
და ცუდა ფოთამდე შევიდობიანად
დასრულდა.

სატრანსპორტო საზოგადოება გე-
მის გარემონტების იტალიაში აპირებ-
და, მაგრამ საბიძო რუსურსებმა ქვეყ-
ნას მამინ არ ჰქონდა.

1921 წელს ფოთში შემოსული ბოლ-
შევიკებს დაზიანებული „მიხაილი“
პორტში დახვებთა გემის შემდგომი
ბედი უცნობია, საერაულოდ, ალბათ,
ჯარიმდა დაჭურეს.

შეიარაღებულმა პატარა გემმა „მი-
ხაილი“ ხანმოკლე, სამხედრო ეპი-
ზოდებით აღსავსე ცხოვრებით ქვეყნის
წინაშე კალი პირიანობად მოიხაინა.

ექსპერტების მიუხედავად, კომპლექსი **Бал-3** ვიწროპროფილიანია — მისი გამოყენება მხოლოდ ზომალდების წინააღმდეგ შეიძლება



ჩაკეზები სანაპიროს დასაცავად

(დასასრული, დასაწყისი იხ. „არსენალი“ N20, 2011)

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს სსრკ-ში ახალ, მეთოთხე თაობის ხომალდსაწინააღმდეგო კომპლექსი **Басტიონ-П**-ზე დაიწყო მუშაობა.

კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი **ЯХОНТ**-ის (საექსპორტო სახელწოდება **ОНИКС**-ი) ტიპის ზებეგერი თო ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები სხვადასხვა კლასისა და ტიპის საზღვაო ხომალდების გასანადგურებლად შეიქმნა. მიხედვითაა, რომ 2-3 რაკეტას ავიანობის ჩაძირვა ე შეუძლია. მწარმოებლის გავრცელებული ინფორმაციით „ბასტიონის“ ერთ ბატარეას 600 კმ სივრცის სანაპირო ზოლის დაცვა ნებისმიერი კლასის ხომალდით შეუძლია.

უნივერსალური სახის კომპლექსად ჩაფიქრებულ „ბასტიონის“ გამოყენება წყალზედა ხომალდებიდან, წყალქვეშა ნაუბიდან, სახმელეთო დანადგარებიდან და თვითმფრინვებიდან იგეგმებოდა.

ახალი რაკეტის უპირატესობა დიდი სიჩქარე იყო და ამის წყალობით მისი გამოყენება მოძრავი და მანევრირებადი სამიზნის გასანადგურებლად შეიძლებოდა.

„ბასტიონის“ ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 700 მ/წმ-ია, რაც 2700 კმ/სთ-ის ეკვივალენტია. სტარტის დროს კონტრაქტორიდან რაკეტა მყარსაწყვიანი რაკეტულ ამპიჩარტერულ გამოპყვას და

რამდენიმე წაშლი ბგერის ორ სიჩქარეს ავითარებენებს.

„ბასტიონის“ საბრძოლო ქობინი 200-250 კვ-ს იწონის და სამიზნის განადგურება, დამიზნების რეჟიმიდან გამოდინარე, 120-დან 300 კმ დისტანციანზე შეუძლია. სამიზნესთან მიახლოებისას რაკეტა ფრენის ზღვრულ დაბალ სიმაღლეზე გადადის, რაც მის განადგურებას ერთი-ორად ართულებს.

„ბასტიონი“ გამშვები დანადგარების, სამეთაურო პუნქტის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და გამშვებ-დამტენი მანქანებისგან შედგება. კომპლექსი ბატარეით მოქმედებს და ექსპერტების ასაძალგებლად მის შემადგენლობაში შეუვლმფრინველ შედის.

ბატარეა 36 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტაზეა გათვლილი და თითოეულ დანადგარს რამდენიმე რაკეტის 2-5-წამიანი ინტერვალით გასროლა შეუძლია.

არც ისე დიდი ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ვიეტნამი რუსეთთან კიდევ რამდენიმე **Басტიონ-П**-ის ტიპის სანაპირო დაცვის სარაკეტო კომპლექსების შექმნაზე აწარმოებს მოლაპარაკებას, რომლის შედეგადაც დასრულების შემთხვევაში კომპლექსებს ვიეტნამი 2014 წლისთვის მიიღებს.

ეს სისტემები ვიეტნამში პირველად 2005 წელს შეუკვეთა. გარიგების დეტალები და მათ შორის პანიონისთვის მიწოდებული „ბასტიონების“ რაოდენობა უცნობია. 2009 წელს ვიეტნამში პირველი კომპლექსი მიიღო.

ვიეტნამის მთავრობის გააქტიურება საუკეთესო ნაოლია. ქვეყნის სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში, სადაც ნავთობისა და გაზით მდიდარი რეგიონებია, გაძლიერება სურს. ამ გარემოებას რამდენიმე მიზეზი აქვს. უპირველესად ეს ვიეტნამს ეხება ჩინეთს უკვეშობდობა. პეკინი ხაინანის კუნძულზე წყალქვეშა ნაუბის ბაზის აშენებს, ხოლო ვიეტნამის აზრით ეს კი ქვეყნის სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნის.

ვიეტნამ-ჩინეთის დაძაბულ ურთიერთობას დიდი ხნის წარსული აქვს. მიზეზი სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში მდებარე პარასელის კუნძულებია, რომელზეც პრეტენზიას ორივე ქვეყანა აცხადებს. ასევე დღვის საგანია ტონკინის ყურის შესასვლელში გამყოფი საზღვაო საზღვრები.

„ბასტიონი“ არ არის ერთადერთი კომპლექსი, რომელიც რუსებმა სსრკ-ის დამღობის შემდეგ შექმნეს. 90-იან წლებში რუსული სამხედრო-სამრეწველო კონცერნები საზღვაოგარეოული შეკვეთების ხარჯზე არსებობდნენ. შესაბამისად, ტექნიკის უმეტესობა სწორედ ექსპორტზე გასატანად იქმნებოდა. ასე დაიწყო 90-იანი წლების ბოლოს მობილური სანაპირო დაცვის ხომალდსაწინააღმდეგო კომპლექსი **Бал-3**-ის შექმნა.

მაშინ რუსებმა დროისა და ფულის დაზოგვის მიზნით უკვე არსებული საავიაციო ბაზირების ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა **X-35** აირჩიეს და ოდ-

ვერჯერობით ვიეტნამი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც „ბასტიონი“ შეიძინა



კომპლექსი — Бастيون-П
 რაკეტის ტიპი — ЯХОНТ
 რაკეტის სიგრძე — 8 მ
 ფრთის გაქანა — 1.7 მ
 სასტარტო მასა — 3100 კგ
 საბრძოლო ქობინის მასა — 200-250 კგ
 ფრენის საშუალო სიჩქარე — 2700 კმ/სთ
 ფრენის მანძილი: კომბინირებული ტრაექტორიით — 300 კმ
 დაბალ სიმაღლეზე — 120 კმ
 რაკეტის ფრენის სამართო სიმაღლე: სამართო უბანზე — 14000 მ
 სამიზნეობა — 5-15 მ
 გამშვები მანქანა — МЗКТ-7930
 თვლების ფორმულა 8X8
 რაკეტების რაოდენობა გამშვებ მანქანაზე — 2 ცალი
 კომპლექსის გათვლა — 3 ცალი

ნე გადააკეთეს — რაკეტას სასტარტო ამჩქარებლები დაუყენეს.

სხვათა შორის, ამავე კონფიგურაციით რაკეტას სამხედრო ხომალდებზე კომპლექს „ურანის“ შემადგენლობაში იყენებენ.

სახმელეთო კომპლექსისთვის გამშვები კონტეინერიც ხომალდიდან ისესხეს და რვა მაღალი გამკობის მანქანაზე დაამონტაჟეს.

კომპლექსი „ბალი“ ტერიტორიული წყლების, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და სხვა სანაპირო ინფრასტრუქტურის დასაცავად არის განკუთვნილი. საბჭოური „რუბეჟისკან“ განსხვავებით, გამშვებ მანქანას არ შე-

უძლია დამოუკიდებელ საბრძოლო ერთეულად მოქმედება, ამიტომაც „ბალს“ ბატარეის სახით იყენებენ. მასში ორი საკომანდო პუნქტი, 4 თვითმავალი გამშვები დანადგარი და ამდენივე დამტენი მანქანა შედის. მათზე რვა გამშვებისგან შემდგარი სათადარიგო პაკეტია განთავსებული.

თითოეული გამშვები მანქანა რაკეტებს ზალპით, 3 წმ-ის ინტერვალით ისვრის. ზალპის დაცლის შემდეგ ბატარეის ხელახალ დატენას 30-40 წთ სჭირდება. მარშიდან კი 10 წთ-ის შემდეგ კომპლექსს ცეცხლის გახსნა შეუძლია.

X-359 არც ისე დიდია, ამიტომ სატრანსპორტო საშუალებაზე რაკეტების დიდი რაოდენობის განთავსება შეიძლება. სტარტის შემდეგ რაკეტა მხოლოდ 10-15 მ სიმაღლეზე მიფრინავს, სამიზნეობის მახზობებისას კი 4

კომპლექსი Калибр-М

კომპლექსი — Калибр-М
 რაკეტის ტიპი — 3М-549/3М-5491/3М-149
 გამშვები მანქანა — МЗКТ-7930
 თვლების ფორმულა 8X8
 რაკეტების რაოდენობა გამშვებ მანქანაზე — 4 ცალი
 რაკეტების გამშვების ინტერვალი — 3-4 წმ



მ-მდე ემუქება, რაც მის განადგურებას ართულებს.

მაგრამ მას ნაკლიც აქვს — უპირველესად ფრენის სიჩქარე. ის ბგერამდელია. შესაბამისად, სამიზნედ მისაღწევად რაკეტას უფრო მეტი დრო სჭირდება და განადგურების ალბათობაც მატულობს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ რაკეტა ვიწროპროფილიანია — მისი გამოყენება მხოლოდ ზომიდანების გასანადგურებლად შეიძლება, სახმელეთო სამიზნეებისთვის კი არ გამოდგება, რაც ამცირებს კომპლექსის ექსპორტზე გატანის შესაძლებლობას.

2008 წელს თვდაცვის სამინისტრომ „ბალი“ შეიარაღებაში მიიღო და მხოლოდ ერთი დეიზინი (დეიზინი ოთხი ბატარეისგან შედგება) შეიძინა.

წლის დასაწყისში „ბალი“ ლიბია დაინტერესდა, მაგრამ იქ მიმდინარე მოვლენების გამო ვარიანტი არ შედგა.

საქართველოს საინტერესოა რუსული ზომიდანისა და მისი გამოყენება საზღვაო ზომიდანების, სახმელეთო სამიზნეებისა და წყალქვეშა ნაუბის გასანადგურებლად შეიძლება.

სისტემა CLUB-ი სხვა სახეობის კომპლექსს აერთიანებს. თავად კომპლექსების სახელი ექსპორტისთვისაა განკუთვნილი, ხოლო შიდა რუსულ ბაზარზე კი Калибр-ი ჰქვია.

კომპლექსი მრავალფუნქციურია და რამდენიმე ტიპის რაკეტასთან ერთად ბაზირების განსხვავებული საშუალებები აქვს.

— Калибр-ПЛ წყალქვეშა ნაუბზე გამოიყენება (საექსპორტო ნიშნული CLUB-S);

— Калибр-НК-ს გამოყენება სახმელეთო ზომიდანებზე იგეგმება (საექსპორტო ნიშნული CLUB-U);

— Калибр-М სახმელეთო ბაზირების მობილური ზომიდანისა და მდგომარეობის კომპლექსი (CLUB-M);

— Калибр-А-ს საავიაციო მატარებლებზე განათავსებენ (CLUB-A);

— Калибр-К კი კონტინერული ბაზირების კომპლექსია (CLUB-K).

ხუთვე უნიფიცირებულია და რამდენიმე ტიპის ფრთოსანი რაკეტის გამოყენებაზეა გათვლილი.

სანაბრო დაცვის კომპლექსისთვის რაკეტების გამშვები კონტინერები მაღალი გამავლობის მანქანაზე დამონტაჟებული. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში ოპერატიულ-ტაქტიკური



კონტინერებში გემზე CLUB-K ტიპის ზომიდანისა და მდგომარეობის რაკეტების რამდენიმე კონტინერის განთავსება შეიძლება, რის შემდეგ ჩვეულებრივ სამოქალაქო გემი მრისხანე სამხედრო ზომიდანად გადაიქცევა



დანიშნულების სარაკეტო კომპლექს „ისკანდერის“ შასი, ზოგადად დეტალის გამოკლებით, თითქმის სრულად გამოიყენეს.

მარშისას რაკეტები და გამშვები კონტინერები მანქანაში დამალული, პოზიციაზე გასვლის შემდეგ კი ამძრავებს ისინი ევრტიკალურ მდგომარეობაში მოკავს. ამჟამად გამშვები მანქანა ოთხ რაკეტას ატარებს და მომავალში მისი ექვსამდე გაზრდა იგეგმება.

რაკეტების გაბარიტებიდან გამომდინარე (მათი სიგრძე 6.2-დან 8.2 მ-მდე მერყეობს), გამშვები მანქანაზე სამიზნის აღმოჩენილი საშუალებები, როგორც „რუბეჟუხ“ იყო, არ ამონტაჟებენ. ამ მიზნისთვის კომპლექსის შემადგენლობაში „მონოლიტ-პ“-ს ტიპის რადიოლოკაციური აღმოჩენის სისტემა შედის. დიდ ინტერესს იწვევს CLUB-K-ს ტიპის კონტინერული ბაზირების კომ-

პლექსი, რომლის გამოყენება სახმელეთო-საზღვაო სამიზნეებზე შეიძლება. მისი უპირატესობა ის არის, რომ კომპაქტური კომპლექსი ავტომატურად მისაბმულზე, სარკინიგზო პლატფორმაზე ან სულაც სტანდარტულ საზღვაო 40-ფუტის კონტინერში თავსდება და ჩვეულებრივ კონტინერისგან არაფრით განსხვავდება.

გამოყენების დროს კონტინერის სახურავი იხსნება და სახმელეთო კომპლექსის მსგავსად, რაკეტების ოთხი გამშვები კონტინერი ამოდის. ასე შენობილი კონტინერი გამოყენებისთვის ბფერად მოსახერხებელია.

კონტინერი სრულიად ავტონომურია. სამიზნის კოორდინატების ძიება და ბრძანებების შესრულება კი თანამგზავრიდან ხდება.

ალექსანდრა ავაძაძე

აღლუჲი — დეზინფორკაბასიის სარკეთისო აგბილი



ამერიკელების გულის გასახეთქად, აღლუმზე გამოყვანილი მობილური სტრატეგიული კომპლექსები

სამხედრო აღლუმებს ორმაგი დანიშნულება აქვს: ერთი მხრივ, სახელმწიფო ხალხს აჩვენებს, თუ რა ტექნიკის შექმნა-შექმნაში იხარალება მათი გადასახადები, მეორე მხრივ კი ამ ტექნიკის დაწინაურებას, მათი აუცილებელი მოწოდებას მილიტარისტულ ავანტიურებზე ფიქრისთვის დაინახებს.

საბჭოთა კავშირის ამგვარი საქმეები კარგად გამოსდიოდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში აღლუმზე კრემლის წინ ჩაყლილმა C-23-ის ტაპის 180 მმ-იანმა ქვეშევსხვამ დასავლეთის სამხედრო ატამუნებზე, ისევე როგორც მოსკოვის რიგითი მოქალაქეებზე, ერთი აუწყრელი მთავებზე იღვბა მოახდინა.

მთელი საბჭოთა არმიის და ისიც მხოლოდ მოსკოვის სამხედრო ოლქის განკარგულებაში 7 ასეთი ქვეშევი იყო, მაგრამ ამერიკელებმა ეს არ იციონდნ და იმასაც კი ვარაუდობდნენ, რომ ქვეშევი ატომური ჭურვებს ისროლა.

არანაკლები ეფექტი იქონია წითელ მოედანზე 420 მმ-იანი „ოკასა“ და 406 მმ-იანი „კონდინსატორის“ გამოყვანაში. დიქტორი შეგნებულად აკეთებდა აქცენტებს, რომ ამ სისტემებით ატომური ჭურვების გამოყვანა იყო შესაძლებელი, თუმც, საბჭოთა კავშირის ისინი მხოლოდ ოთხ-ოთხი ცალი ჰქონდა.

საზინფორკაბასიის რაკეტები

1963 წლის 7 ნოემბერი. მოსკოვში ტრადიციული სამხედრო აღლუმი მიმდინარეობს. მასში პირად შემადგენლობასთან ერთად სხვადასხვა სამხედრო ტექნიკაც მონაწილეობს. ოფიციალურად ცერემონიალის დასრულებამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, როცა წითელ მოედანზე აქამდე არნახული ტიპის საზინფორკაბასიის რაკეტები გამოჩნდნენ. დიქტორმა ისინი საპაერო-კოსმოსური

სამიზნეების უახლეს უბილოტო გზაგადამჭრელებად წარმოადგინა.

სტუმრების ტრიბუნები უმაღ გამოცოცხლდა. დასავლური პრესის წარმომადგენლებმა და NATO-ის წევრი ქვეყნების სამხედრო ატამუნებმა ფოტოაპარატები აჩნაკუნეს. საბჭოთა საჯაროდ გამოიტანა შეიარაღება, რომლის შესახებაც ცენტრალურმა სადაზვერუო ბურომაც კი არაფერი იცოდა.

ასე ჩაიარა საზინფორკაბასიის კომპლექსი დას-ის პირველმა დემონსტრაციამ. დასავლეთი შოკირებული იყო. თავად მოსკოვში კი მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა, რომ დას-ის შეიარაღებამში არ იყო და არც არასდროს მიიღებდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა ამ მასშტაბურმა დემონსტრაციამ სრული წარმატებით ჩაიარა.

1953 წელს საბჭოთა კონსტრუქტორმა ლეონიკინმა ხელისუფლებას უნიკალური შესაძლებლობების მქონე საზინფორკაბასიის რაკეტის შექმნა შესთავაზა. გვემთ, მას სამიზნის განადგურება მაქსიმალურ 200 კმ დისტანციანზე უნდა შესძლებოდა. ამ მომენტისთვის დასავლეთის მსოფლიო არაფერი ვაჩნდა.

პროექტმა ხრუშჩოვი დაინტერესა. რაკეტას ჯერ კიდევ ცდიდნენ, მაგრამ აღფრთოვანებული ხელისუფლება არ დაელოდა საბოლოო შედეგს და 1955 წელს ლენინგრადის მახლობლად გასაღდმდებლად ვითარებაში დას-ის სასტარტო პოზიციების მასშტაბური მშენებლობა დაიწყო.

იმ პერიოდისთვის დას-ის მეტად ძვირად ღირებულ საბჭოთა პროექტი იყო. ლენინგრადთან ახალი ბაზის მშენებლობაში მილიონები იხარჯებოდა.

1958 წელს ყაზახეთში, სარი-შიგანის პოლიგონზე რაკეტის გამოცდა დაიწყო. პირველი სტარტი 30 დეკემბერს შედგა და წარმატებით დასრულდა. განარბებული მოსკოვი რაკეტის შეიარა-

ღებაში მიღების დაქარებას ითხზვდა, მაგრამ მაღლი ათიარება რადიკალურად შეიცვალა, — პოლიგონზე გამოცდაზე ზედხედ რამდენიმეჯერ ნოვიგაციური სისტემის ჭკუაზე მოყვანა ვერა და ვერ მოხერხდა.

ამასობაში პრიორიტეტები შეიცვალა. 60-იანი წლების დასაწყისში კოროლიოვის დალბისტკური რაკეტები ლეონიკინის დას-ზე გაცილებით პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლებოდა. თანაც კოროლიოვი ორბიტაზე აღმანის გამოყვანას გეგმავდა. აქ კი საქმე ნაციონალურ პრესტიჟს ჭჭიროდა.

ლეონიკინის სიკვდილის შემდეგ დამოკიდებულება კომპლექსის მიმართ მკვეთრად შეიცვალა. მაგრამ პროექტში უამრავი ფული და რესურსი დაიხარჯა. მის შექმნაში ათობით საკონსტრუქტორო ბურო, კვლევითი ინსტიტუტი და საწარმო მუშაობდა. სწორედ მამში კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობას მათი დემონსტრაციის მიზნით გამოყენების იდეა გაუჩნდა. 1962 წელს დაკონსერვებული მშენებლობა აღადგინეს, რაკეტების მომზადება კი საწარმოებო აღდგენისთვის დაიწყო. სწორედ ასე გასაღდს უმოქმედო რაკეტები რეალურ იარაღად.

ხრბმა გაამართლა 1963 წლის ნოემბერში, — წითელ მოედანზე გამოჩნდილმა რაკეტებმა დასავლეთი საგროველები ჩაავლი, გამნეტონში კი ყველაფერი რეალურად მიიღეს. ამერიკელებს არც ლენინგრადთან მიმდინარე მშენებლობა გამოჩნდათა მეტიც, მიიწყდნენ, რომ დას-ის ტაქტიკური რაკეტების განადგურებაც შეუძლი. ცენტრალური სადაზვერუო ბურო კი უფრო შორს წავიდა და საბჭოთაის შეიარაღებაში 900-ზე მეტი ასეთი რაკეტა „დაითვალა“.

მოსკოვი კი ნახუვრად ბუტკოლორულ კომპლექსის აღლუმებზე კიდევ 10 წელი „ასკრებდა“.

ამამტანი იმპერიალზმის წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირი დასავლეთის მხოლოდ საზენიტო რაკეტების როდი აშიწნება. ვეჯელაუ დიდა საბჭოთა სამხედრო ბლევი რაკეტებს ქებასა. პირველი ფარსი რაკეტა P-1 იყო, რომელიც ნააღაფარი გერმანული ფაუ-2-ის წუსტი ასლი იყო.

სიკრუის ტაქტიკამ აპოგას ხრუშჩოვის შმართელობისას მიაღწია. მას სჯეროდა, რომ იმპერიალიზმის განაღვრება მხოლოდ რაკეტებით შეიძლება. როცა აშშ-ში მორაგებობაზე 60 საკონტინენტთაშორისი რაკეტა იდგა, საბჭოთა კავშირს მხოლოდ ოთხი ცალი პქინდა. ხრუშჩოვი კი ირწმუნებოდა, რომ მისი ქვეყანა რაკეტებს სოსისებოით სწრაფად აკეთებდა.

როდესაც ამერიკელებმა რაკეტა „მინიტმენს“ მობილური ვარიანტზე დაიწვეს მუშაობა, საბჭოთის პასუხმა დაიღანს ამ დააყოვნა. 1962 წელს კორილიოვის საკონსტრუქტორო ბიურომ ახალ FP-1-ის ტიპის რაკეტაზე დაიწყო მუშაობა. მისი გამოყენების მეთილი ყოველგვარ ფანტაზიას სცდებოდა. რაკეტის სტრატონის შემდეგ, მისი საბრძოლო ნაწილი ორბიტაზე გაედიოდა და ხელელონო თანამგზავრად იქცეოდა. შემდეგომ დღამაწის გარშემო 150 კმ სიმაღლეზე რამდენიმე ბრუნს ასრულებდა. საბჭოთისის შეთხვევაში კი მისი ჩამოვარება დღამაწის ნებისმიერ წერტილში შეიძლებოდა.

36.5 მ სიგობის რაკეტის სასტარტო წონა 11700 კგ-ს შეადგენდა. მას შეუზღუდევი ფრენის მანძილი პქინდა. ბირთვიანი ქობინის სიმძლავრე კი ტრიტოლის ექვეალენტ 2.2 მგატონას შეადგენდა.

ასეთი შესაძლებლობების მქონე რაკეტის შექმნა უამრებ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. ბაიკონურზე სასტარტო მოედნის მშენებლობაც კი დაიწვეს, მაგრამ 1964 წელს პროექტი დაახურა.

მუხედვეად ამისა, 1965 წლის 9 მაისს წითელ მოედანზე გამართულ სამხედრო აღლუმზე რაკეტის ორი საფრენოსნო ფეხმძლარი გამოიყენეს. მოელუნა ზეფხულში ოთხლის მოსივლის ტოლფასი იყო. ამერიკელები და NATO-ს წევრი ქვეყნების სამხედრო წარმომადგენლები მოკიებული იყვნენ, ვამბიტონმა კი „გლობალური რაკეტების“ საბრძოლველად პროგრამის შექმნაც კი დაიწყო და ბიუჯეტდინან მილიონობით დოლარი გამოყო.

ასეთვე მიზანს ექსახურებოდა 1965

წლის 7 ნოემბრის სამხედრო აღლუმზე გამოყენილი სტრატეგიული კომპლექსი 8K99. იმ პერიოდში სტრატეგიული რაკეტების მობილური დანადგარების შექმნა აქტუალური იყო. ეს კომპლექსი ინგლისის საკონსტრუქტორო ბიურომ შექმნა. T-10M-ის ტიპის ტანკისგან ნასესხებ მასიზე გამშვები კონტეინერი მონტაჟდებოდა, რომელშიც 1.55-მგატონიანი (მძიმე ვარიანტი 1.5 მგატონა) ქობინის მქონე რაკეტა ინახებოდა.

იმ პერიოდისთვის კომპლექსი მართლაც რეულიტორი იყო, მაგრამ მას ერთი ნაკლი პქინდა, — რაკეტის მქონე საფეხური ოხვედასწავიანი იყო. მისი ექველუტაციისას კი ბევრი პრობლემა წარმოიშუა. 1967 წლიდან პლუსეციის პოლიგონზე 12 საცდელი გამშვებ შედგა. რაკეტის ფრენის მანძილი 11000 კმ-ს შეადგენდა (მძიმე ქობინიანის — 7000-8000 კმ-ს). მაგრამ კომპლექსის ვართულელები ექსპლუატაციის გარე 1969 წელს პროექტი დაიხურა.

მანამდე კი ამერიკელების გულისგახსეთქად კომპლექსის ორი ფეხმძლარი სამხედრო აღლუმზე გამოიყენეს.

ამერიკელების პასუხი

ამერიკელებმა საბჭოთის საკადრისი პასუხი მოუქმადეს, — 1983 წლის მარტში პრეზიდენტმა რეიგანმა ახალი რაკეტისწინააღმდეგო ოფდაცვის სისტემის შექმნის ოთხობზე გააქვია განცხადება. მისი ელემენტები კოსმოსში უნდა განეთავსებინათ რეიგანის თქმით „სტრატეგიული ოფდაცვითი ინიციატივა“ მსოფლიოში მშეილობის გარანტია იქნებოდა.

გუკვე 1986 წლისთვის 260 სიგადახსევა სამრეწველო კორპორაციასთან 1500-ზე მეტი კონტრაქტი ვაფორმდა. კოსმოსური რაკეტსწინააღმდეგო სისტემის შექმნას ამერიკელები სრული სეროინფორმობით მუდგენენ. მათი აზრით, 50 აღმომწენი და 100 ლაზერული იარა-

ღით შეიარაღებული თანამგზავრი საყსებით საკმარისი იყო.

ნებისმიერ პროლექტს კარგი რეკლამა უნდა, ამ სფეროში კი ამერიკელებს ბადალი არა პკეით ახალი სტრატეგიული პროგრამის რეკლამა უპირველესად საბჭოთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ოფდაცვისწინააღმობაზე გაღებული გაზრდილი ხარჯებით ვამბიტონის სსრკ-ის კრახის დაწქარება სურდა. აშშ საჯაროდ აცხადებდა, რომ უახლოეს 10-15 წელსინაშემ ახალ სტრატეგიულ ოფდაცვის პროგრამაზე პროპანაირდულ თანხას — 2 ტრილიონ დოლარზე მეტს დახარჯავდა. კარგად მოიფიქრული ამერიკული პროპანაირდა თვისი საქმეს აკეთებდა, მოსკოვში პოლიტიკურის წევრები შეშფოთებული იყვნენ. ვამბიტონის ამტკიცება, რომ უახლოესი მომავალში სისტემა მორიგობაზე დაღებოდა. საპასუხოდ მოსკოვი ახალი სტრატეგიული რაკეტების შექმნაში მილოინებს ერთდა.

რო თქმა უნდა, ორბიტაზე 100 ლაზერული თანამგზავრის ვაეყანას არც არაევი აპირებდა. იმ პერიოდში აშშ-ს არ გაანდა საამისო რუსურის, სამაგთიოდ დამბინების პოლიტიკა აპირებოდა. საბჭოთა კავშირი ვეელანაირად ცდილობდა სტრატეგიულ შეიარაღებაში აშშ-ს დასწეოდა.

პარტიტვი ამ ქვეყნების შორის 1970 წელს იქნა მიღწეული, წყალქვეშა ნავების სფეროში კი — 1974 წელს. აეიაციაში თანავარდობის მიღწევა ვერ მოხერხდა. გუკვე 1960 წლისთვის აშშ-ს 1819 სტრატეგიული ბომბდამწენი პკეფდა, სსრკ-ის კი 1965 წლისთვის მხოლოდ 250

ამერიკულმა აღმნისტრატემა აკარსკელეფური ომებით“ ბევრი პოზიცია მოიკო. ეს იყო ცვიი ომის დასასრული, რომელიც საბჭოთა კავშირისთვის კარხად იქცა.

ალმსანდრა ავსთიძე

აღლუმზე დიქტორი შვენებულად ლაპარაკობდა, ამ ქვეყნების ატომური ტურელებით სროლაზე. მაგრამ არავინ იმახდა, რომ იმისი მხოლოდ ოთხი ცალის ოღენობით არსებობენ



კონსტან

272-337

კონსტანტინე I რომელი იმპერატორი იყო, რომელიც ქრისტე რჯულზე მოექცა. მან რომის იმპერიის დედაქალაქი რომიდან აღმოსავლეთით, ძველი ბერძნული ქალაქის, ბიზანტიონის ადგილზე გადაიტანა და კონსტანტინოპოლი უწოდა (თანამედროვე სტამბოლი). ის იმპერიას იარაღის ძალით დაეპატრონა და ფროპის პოსტკლასიკურ კულტურას ჩაუყარა საფუძველი.

აღმოსავლეთის სამეფო კარზე აღიზარდა და ჭაბუკობისას ეგვიპტეშიც მოუხდა ბრძოლა. 305 წლის 1-ელ მაისს კონსტანტინე აღმოსავლეთის იმპერატორი გახდა, თუმცა ავგუსტუს მაქსიმიანუს კონსტანციუსის ადგილას თავისი წარმომადგენლის, ფლავიუს ვალერიუს სვერუსის დანიშვნა სურდა. კონსტანციუსმა თავისი ვაჟის სიხოვა, პიქტებთან ბრძოლაში აღმოსავლეთიდან მიშველბოდა. კონსტანტინეს მეტოქე სვერუსის კონტროლირებული ტერიტორიები უნდა გაეგლო, რათა მამამისს გვესორიაკუმში (ახ. ბოლნისი) შეერთებოდა. მათ ერთად გადალახეს არხი. 306 წლის 25 ივლისს კონსტანციუსი ებურაკუმში (ახ. იორკი) გარდაიცვალა თავისი ვაჟიშვილის გვერდით, რომელიც ბრიტანეთში მყოფმა რომაელმა ჯარისკაცებმა დაუფიქრებლად იმპერატორად აღიარეს.

ტინენტზე დაბრუნდა და თავისი დედაქალაქი ტირიმი, თანამედროვე გერმანიის, დააარსა. ამასობაში კი მაქსიმიანუს ვაჟი და მისი ნათესავი მარკუს ავრელიუსი რომში გამოეფინნენ. 312 წელს კონსტანტინე იტალიაში შეიჭრა და რომის ჩრდილოეთით, მულვიუსის ხიდზე მაქსენციუსს დაამარცხა. ის დასავლეთში ერთპიროვნული იმპერატორი გახდა, აღმოსავლეთს კი ლიცინიუსი განაგებდა.

„ამ ნიშნით დაიპყრობ“.

ეს სიტყვები ჩაცხმა კონსტანტინეს ჯვრის მისტიკური ხილვისას. 324 წელს კონსტანტინემ ადრიანოპოლსა და ქიზონოპოლისთან (თანამედროვე ედირნე და იუსტიუდარი თურქეთში) ლიცინიუსი დაამარცხა და ერთპიროვნული იმპერატორი გახდა სრულიად დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

მას შემდეგ, რაც თავისი სიძე ლიცინიუსი და მისი ვაჟი, საკუთარი დის-შვილი, შოაკელეენა, კონსტანტინემ თავისი შვილი კრისპუსი და ცოლი ფაუსტა დასაჯა სიკვდილით, რადგან მათ შორის ინცესტური კავშირი იქცა.



IV საუკუნის ბიზანტიელი ჯარისკაცები

ქრონოლოგია

- * დაიბადა 272 წლის 27 თებერვალს.
- * 293 კეისრის ერთ-ერთ მემკვიდრედ დასახელეს.
- * 306 იმპერატორად გამოცხადდა იორკში, 25 ივლისს.
- * 306-308 გაილაშქრა გერმანიის საზღვრებზე.
- * 312 შეიჭრა იტალიაში.
- * 314-315 ისევ გერმანიის საზღვრებთან იბრძვის.
- * 324 დაამარცხა ლიცინიუსი, აღმოსავლეთის იმპერატორი. დააარსა კონსტანტინოპოლი.
- * 332 ებრძოდა გოთებს.
- * 334 ებრძოდა სარმატებს.
- * 336 იბრძოდა ღუნაის საზღვრებზე.
- * 337 ქრისტიანულად მონიათლა. გარდაიცვალა 22 მაისს.

ქრისტიანი იმპერატორი

დაიბადა 27 თებერვალს 271, 272 ან 273 წელს ნაისში, ზემო მოეზისის პროვინციაში (თანამედროვე ნიში, სერბეთი). ახალშობილს ფლავიუს ვალერიუს კონსტანტინუსი დაარქვეს. მამამისი სამხედრო ოფიცერი ფლავიუს ვალერიუს კონსტანციუს ქლორუსი იყო, დედამისი კი მამამისის ხარკა, ელენა. მოგვიანებით, როცა კონსტანტინემ ქრისტიანობა მიიღო, ელენა წმინდანად აღიარეს. 293 წლის 1-ელ მარტს მამამისი კეისრების: დიოკლეტიანუსა და მაქსიმიანუს ერთ-ერთ მემკვიდრედ დასახელეს და კონსტანციუს I ქლორუსი უწოდა. კონსტანტინე

კონსტანტინე ახალი დედამაღალი

324 წლის 8 ნოემბერს, ქრისტიანობისათვის ლიციონუსზე გამარჯვებულან ორ თვეზე ნაკლები იქნებოდა ვასილი, კონსტანტინე თავის ახალი დედაქალაქის სასდერები გაეგლო. ახალი კედლები 328 წელს დასრულდა, ხოლო დედაქალაქად 330 წელს გამოაცხადეს. კონსტანტინოპოლი რომს ჰკავდა, თუმცა წარმართული საკურთხეულები ქრისტიანულმა ეკლესიებმა შეცვალა. მან აია სოფიას (წმინდა სიმონე) და აია ირენეს (წმინდა მშვიდობა) მშენებლობა დაიწყო და წმინდა სამოციქულო ეკლესია დააარსა. მიუხედავად ამისა, კონსტანტინე 337 წლამდე ქრისტიანად არ მოქცეულა. ადგილის შედეგად იგი ცუდად იგრძნო და დრეპანუსში, იგივე ჰელენოპოლისში (თანამედროვე ტრაპანი, სიცილია) გაემგზავრა, რათა დედამისის სათაყვანებელ წმინდა მრჩამე ლუკიანეს საფლავთან ელოცა. ამის მერე ნიკომედიასში (თანამედროვე იზმირი, თურქეთი) გაემგზავრა, სადაც ქრისტიანულად მონათლა. რამდენიმე კვირის თავზე ქრისტიანი ნეოფიტის თვით მანტაში გამოწვობილი სულიმოცუნობის დღესასწაულზე მივიცვალა. მისი ცხედარი კონსტანტინოპოლში გადასვენეს. წმინდა სამოციქულო ეკლესიაში დასვენეს და როგორც წესი მოითხოვდა, ირველზე მოციქულთა ქანდაკებები შემოესვენეს, ყოველ მხარეს ექვს-ექვსი ცალი.

ჯვრის ნიშნით

● 306 წელს მაქსენციუსმა სვეერუსს უღალატა, რომ იმპერატორი გამხდარიყო, მამამისმა მაქსიმიანემ კი სვეერუსს 307 წელს დაამარცხა და მოკლა. მაქსიმიანემ კონსტანტინეს გვლაში ჩააკითხა, მაქსენციუსს კი იტალია და ესპანეთი შეატოვა ხელში სამართავდა. 308 წელს ლუციუს დომიციუს ალექსანდრი აფრიკაში აჯანყდა და თავი იმპერატორად გამოაცხადა. 310 წელს კონსტანტინემ ესპანეთი აიღო, ერთი წლის თავზე კი მაქსენციუსმა ხელახლა დამოირჩია აფრიკა. ეს უკანასკნელი კონსტანტინემ სასტიკად დაამარცხა და თავად მოკლა მულვიუსის ხიდთან ბრძოლაში, 312 წელს. ამის შემდეგ კონსტანტინე რომის ერთობლივად იმპერატორი გახდა.

● კონსტანტინე მულვიუსის ხიდთან ბრძოლა ქრისტიანთა დიქრითის სახელით გადაიხადა. ბრძოლის წინადატეხს, როგორც ამბობენ, კონსტანტინეს ქრისტე გამოსხადებდა და უთქვამს,



შენი ჯარისკაცების ფარგლებზე ჩემი ჯვარცმის ნიშანი გამოსახე. მხოვე ვერსიით, კონსტანტინეს ზეცაში დაუნახეს ჯვრის გამოსახულება და გაუგონად წინასწარმეტყველება: „ამ ნიშნით დაიპყრობ!“ კონსტანტინემ დარტყმისაშემდეგ მოქცა და ახალ საბრძოლო შტანდარტად ლაბარუსი (რომის იმპერიის სახელმწიფო დროშა) დააწესა.

● კონსტანტინესაც და ლიციონუსსაც რომის იმპერიის ერთობლივად მართვა სურდათ, მაგრამ 313 წელს ისინი მილანში შეხვდნენ ერთმანეთს და ხელი მოაწერეს ედიქტს, რომლის ძალითაც კონსტანტინეს ნახევრად კონსტანტინა ლიციონუსს უნდა გაეყოლიდა ცოლად.

მაგრამ უთანხმოებამ თავი 316 წელს იჩინა. ბიძოლა პანინიაში, თანამედროვე ეპიკოცისთან (ხორვატია) გაიმართა,

სადაც ლიციონუსს უზარმაზარი დანაკარგი მიადგა. არც თრაკიამა გამართულ ბრძოლას დაუყრია ხელი რომელიმეხეთის — გამარჯვებული ვერც ერთი მხარე ვერ გამოვიდა. ლიციონუსი იძულებული შეიქნა, თრაკიის გარდა, ყველა ევროპული პროვინცია დაეთმო, ომი 324 წელს გაჩაღდა ხელახლა. ამჯერად უკვე კონსტანტინემ გადამწყვეტი მარცხი აგვმა ლიციონუსს. კონსტანტინამ ნახევრდმის ფიცი ოფიციალურად ჩამოართო, რომ ლიციონუსს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, მაგრამ კონსტანტინემ რამდენიმე თვეში ის მაინც დასაჯა სიკვდილით და 9 წლის ვაჟი მოაკლევინა, რითაც რომაული სამყაროს უდავო მმართველ-გამაგებელი გახდა.

თარგმანი
ლავან ივანეშვილი



როგორ შეიჭრა NATO-ში „კაპიკაპე“ MiG-ი...

მაშინ მთელი საქართველო 9 აპრილის ტრაგედიით იყო შეძრული და ცოტამ თუ მიაქცია ფურადლება, თუ რა მოხდა 1989 წლის 4 აპრილის.

იმ დღეს პოლენეთში, სადაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარები იყო დისლოცირებული, გვემური სასწავლო ფრენები მიმდინარეობდა. დილაუთუნა პოლენური აეროდრომიდან კოლონარეკიდან აფრინდა MiG-23M ტიპის საფრონტო გამანადგურებელი, რომელიც 871-ე საჟაეაიო პოლკს ეკუთვნოდა.

გამანადგურებელს 239-ე გამანადგურებელი საჟაეაიო დეიზის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი სკურიდინი მართავდა. საერთოდ პოლიტმუშაკები საბრძოლო ნაწილებში, ძირითადად, აღარ ფრენდნენ, მაგრამ დეიზის მთავარი პარტიული სა-

ხე ვალდებული იყო თავისი მაგალითით ექვემდებარებინა სხვა პილოტებისთვის, რომ კომუნისტური პარტიის იდეოლოგიებსაც არ ჰქონდათ დეიწყებული თვითმფრინავის მართვა. ისე, პოლკოვნიკ სკურიდინს, რომელიც 1-ელი კლასის პილოტი იყო, 1700 სთ ჰქონდა ნაფრენი, მათ შორის 527 სთ კი სწორედ MiG-23-ზე.

აფრენიდან 41-ე წმ-ზე გამანადგურებლის რეაქტიული ძრავის სიმძლავრე მოულოდნელად დაეცა და თვითმფრინავმა ძირს დაშვება დაიწყო. „მიგის“ სიჩქარემ 550-დან 350 კმ/სთ-მდე უცბად მოიკლო, ხოლო სიმაღლე სულ რაღაც 90 მ იყო.

ყველაფერს წაშები წვევტდა. პილოტმა სამეთაურო პულტს რაციით აცნობა, რომ ძრავა მწვობრიდან გამოვიდა და კატაპულტირების უფლება ითხოვა, რისი ნებართვაც დაუყოვნებ-

ლევ მიიღო და კატაპულტირება მოახდინა.

პილოტი პარაშუტით მიწაზე მშვილობიანად დაეშვა (მხოლოდ ზედი იტკინა), ხოლო თვითმფრინავი ზღვის მიმართულებით გაუწინარდა და ყველამ ჩათვალა, რომ ის ბალტიის ზღვის ტალღებმა შთანთქა.

საჟაეაიო პოლკის მეთაურობამ შეშებით ამოისუნთქა და მოსკოვში დამიწრული დეპუტა გაგზავნა, რომ ტექნიკური მიზეზის (რეაქტიული ძრავის გაჩერების) გამო მომხდარ საჟაეაიო ჯარის მსხვერპლი არ მოჰყოლია, ხოლო პილოტმა კატაპულტირება მოახდინა.

ორიღე საათიც არ იყო გასული ამ დამაიმედებელი დეპუტის მიღების შემდეგ, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ელუარდ შუგარდნაძის მისაღებში ვეროპიდან ზარების რეკა ატყვა — ვეროპის პირველი დიპლომა-

აფრენისას პილოტმა ფორსაჟის გამოთვა შეცდომით რეაქტიული ძრავის გაჩერებად აღიქვა და კატაპულტირება განახორციელა, თვითმფრინავმა კი მის გარეშე კიდევ 900 კმ იფრინა...



ტები საბჭოთა კოლეჯისგან დაფინანსებული მოთხოვნის იმის გაგებას, თუ რატომ დაეშვა წითელკარსკვლევიანი საბჭოთა საბრძოლო თვითმფრინავი ბელგიის ქალაქ ლელის ახლო, რასაც ერთი სტუდენტის დაღუპვა მოჰყვა.

როგორც შემდგომ გამოძიებამ დაადგინა, პილოტი, რომელიც სკოლის მძღავს წვეის მკვეთრად შემცირება შეცდომით თავად მძავს მწვობრიდან გამოსვლად აღიქვა და კატაპულტირება მოახდინა, რაც სწორი მოქმედება იქნებოდა, რადგან თუკი აფრენის მიმართში დაბალ სიმაღლეზე МиГ-23-ის მართლაც გამოერთებოდა ერთადერთი რეაქტიული მძავს, პილოტი თავს მხოლოდ კატაპულტირებით თუ უშველიდა.

სინამდვილეში კი გამოირთო არა მძავს, არამედ რეაქტიული მძავსის ფორსაჟი. კატაპულტირების შემდეგ გამანადგურებლის ცხვირის ნაკვეთურის მასა თითქმის 200 კგ-ით შემცირდა (პილოტისა და კატაპულტირებადი სავარძლის მასების ჯამში), თვითმფრინავმა ცხვირით მაღლა ასწია და სიმაღლის აღება დაიწყო.

გამანადგურებლის კაბინაში ჩართული იყო ავტოპილოტი, ამიტომაც უპილოტოდ ფრენა МиГ-ს არ გასჭირვებია. ფრენის მარშრუტი დასავლეთის მიმართულებით გადიოდა.

უპილოტო МиГ-მა გადაკვეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სფერო, თუმცა მისი ჩამოგდება არავის უცდია, რადგან თვითმფრინავის სახელმწიფოებრივი ამოცნობის ავტომატური სისტემა „ჩემი-სხვისა“ გამართლად მუშაობდა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ანუ უკვე NATO-ს საჰაერო სფეროში შეჭრისას საბჭოთა МиГ-ს კულზე ნიდერლანდების სამხედრო-საჰაერო



ბელგიურ სოფელში ი1-ტინიანი საბჭოთა МиГ-ი უპილოტოდ „დაეშვა“

ბაზიდან განგაშის სიგნალზე აფრენილი ორი ამერიკული F-15 „დააჯდა“. საქმე სახუმაროდ ნამდვილად არ იყო, რადგან ამერიკელმა პილოტებმა შორიდან დააფიქსირეს დამრღვევი თვითმფრინავის ტიპი — საბჭოთა МиГ-23, რომლის ზოგიერთ მოდიფიკაციას ტაქტიკური ბირთვული საჟაიაციო ბომბის წაღება შეეძლო.

F-15-ების პილოტებს სრული უფლება ჰქონდათ შორი დისტანციიდანვე გაეშვათ „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მართლად რაკეტები МиГ-23-ის ჩამოსვლა და მავრამ მანც ახლოს მიფრენა ამჯობინეს და სახტად დარწმუნ... მრის-ხანე საბრძოლო მანქანის პილოტის კაბინა ცარიელი იყო, მას არავინ მართავდა!



МиГ-ის ჩამოფრენის პირველი წუთები...

ჩვენი დღისი — ანალოგიური შემთხვევები

საერთაშორისო საავიაციო სპეციალიზტებმა გაარკვიეს, რომ 1989 წლის 4 ივლისს ტრაგედია მიგ-23მ-ის მინაწილეობით ერთადერთი არ ყოფილა და მსგავსი შემთხვევები მანამდეც ხდებოდა.



უპილოტო ბრიტანული „ჰანტიერი“ ორ სახლს შორის აკურატულად „ჩაეტია“...

1972 წლის 4 მაისს დანიის თავზე ბრიტანული „ჰარიერის“ ძრავაში ჩიტი მოხვდა, მფრინავმა კატაპულტირება მოახდინა, თუმცა „ჰარიერმა“ კიდევ 38 წი იფრინა, შევიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საჰაერო სფეროში, სადაც ის გერმანულმა F-104-მა ჩამოაგდო.

1976 წლის 4 მარტს საბჭოთა ვერტიკალური აფრენა-დაფრენის თვითმფრინავის რკ-38-ის გამოცდისას მოულოდნელად აუტომატურად ამოქმედდა კატაპულტირების სისტემა და მფრინავი კაბინიდან ამოისროლა. მფრინავი პარაშუტიით კი შვიდობიანად დაეშვა, მაგრამ ავტოპილოტმა რკ-38 10 კმ სიმაღლეზე აიყვანა და საწვავის გამოლევის შემდეგ ის ზრანში ჩაყარდა.

1979 წლის 4 ივლისს (წარმოიდგინეთ რიცხვი 4-ის ოთხჯერ დამთხვევა, თანაც ორჯერ 4 ივლისი, ოღონდ 10 წლის ინტერვალში) ბრიტანული გამანადგურებელ „ჰანტიერის“ ძრავა გაეთიშა ჩრდილოეთის ზღვის თავზე, თუმცა პილოტის კატაპულტირების შემდეგ რეაქტიულმა ძრავამ ისევ განახლა მუშაობა და ფრენა განაგრძო. ცოტა ხანში ძრავა ისევ გაითიშა და თვითმფრინავი ქალაქ ტინტაგელის საცხოვრებელ უბანში ჩაყარდა. საბედნიეროდ, გამანადგურებელი ორ შენობას შორის ისე ჩაყარდა, რომ დიდი ზიანი არ მოუტანია და არც აფეთქებულია.

1987 წლის 22 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთის საჰაერო სფეროში გამანადგურებელ-ბომბდამშენ „ჰარიერის“ პილოტმა მოულოდნელად კატაპულტირება მოახდინა, რამაც მფრინავის სიცოცხლე შეიცვალა. თავად თვითმფრინავი ჰაერში კიდევ ნახევარი საათი იყო და ირლანდიის ნაპირებიდან 250 მილში ატლანტის ოკეანეში ჩაყარდა.

1964 წლის 11 ივნისს Cy-9Y ტიპის სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავიდან ეკიპაჟის ორმა წევრმა კატაპულტირება მოახდინა, თავად თვითმფრინავმა კი სიმაღლე აიღო და ცოტა ხნის ფრენის შემდეგ მიწაზე დაეშვა, ოღონდ დაიშტერა.

1965 წლის 25 იანვრის შემთხვევა კი მართლაც დაუკერებელიც ჩანს — იმავე Cy-9 ტიპის გამანადგურებლის მართვის სისტემის მწვობრიდან გამოსვლის გამო პილოტმა კატაპულტირება მოახდინა. თვითმფრინავმა ამის შემდეგ რამდენიმე ათეული კმ გაიფრინა და მინდორზე თავად დაჯდა აკეცილი შახისა, დაახლოებით 400 კმ/სთ სიჩქარით. დაჯდომის გარბენმა მზოდ და 250 მ შეადგინა, ფრთების ქვეშ ჩამოკიდებული საწვავის დამატებითი აუზები კი დაიშტერა, მაგრამ თავად გამანადგურებელი ისე მსუბუქად დაზიანდა, რომ მალევე აღადგინეს და ფრენას განაგრძობდა.



მოსკომა ბრიუსელს კომპენსაციის სახით 800 ათას დოლარამდე გადაუხადა, რითს შემდეგ ბელგიელებმა რუსებს MiG-ის ნაწილები სახლში გაატანეს...

სამეთაურო პუნქტზე გადაცემულ-
მა ამ ინფორმაციამ საპაერო თე-
დაცივის სისტემის მეთაურთა წამიერი
დაბნევა გამოიწვია, „ნუთუ რუსებ-
მა უპილოტო MiG-ით „კამიკაძეუ-
ბის“ შემოტევა დაიწყეს, ფიქრობდნენ
შტაბში.

მათ NATO-ს პილოტებს აუკრძალეს
უპილოტო MiG-ის ჩამოვლება ორი
ბირთვითი მიზნების გამო: პირველი —
MiG-ის ფრენის მარტურტის ქვეშით
შეადრე დასახლებული რაიონები იყო
და არაუნი იცოდა, სად ჩამოვარდნილია
რაკეტამორტყმული 15-ტონიანი საფ-
რნი აპარატი.

მეორე არგუმენტს კი ამკარებდა
უპილოტო MiG-ის ვიზუალური გა-
რე დათვალიერება. ამერიკელმა პი-
ლოტებმა ვერ აღმოაჩინეს MiG-ზე
ჩამოვარდნილი ბომბები და რაკეტები
და ჩაივალეს, რომ ის შეუარაღებელი
იყო (თუმცა როგორც მერე გაირკვა,
MiG-ის საევიაციო ქვეშების საბრძო-
ლო საჭურველი — 200 ცალი 23 მმ-
იანი ჭურვი თვითმფრინავის ბორტზე
იყო), მათ უმეტეს, რომ თითქმის 12
კმ სიმაღლეზე მიფრინავდა და თანაც
დაახლოებით 700 კმ/სთ სიჩქარით —
ფრენის ასეთ პარამეტრებს საბრძოლო
ოპერაციების დროს, როგორც წესი,
არ იყენებენ.

სანამ ჩრდილოატლანტიკური ალი-
ანსის გენერლები ამ გათვლებს აკეთებ-
დნენ, უპილოტო MiG-ი გერმანიის
ფედერაციული რესპუბლიკის საპაერო
სერვიდან ჯერ ნიდერლანდების ცაში
შეიჭრა, შემდეგ კი ბელგიის თავზე აღ-
მოჩნდა.

NATO-ს საპაერო თავდაცვის სის-
ტემის ოპერატორებს მიეძე მიეცათ,
რომ უცნაური MiG-ი ლა-მანში ჩა-
ვარდნილია, მაგრამ როდესაც მან გე-
ნი ბელგიური ქალაქ ილისკენ აიღო,

F-15-ების პილოტებს უბრძანეს მისი
ჩამოვლება.

სანამ ამერიკელმა პილოტებმა რა-
კეტების გასაშვებად საჭირო დისტან-
ცია და რაკურსი დაიკავეს, MiG-მა,
თითქოს დაცინიანი მათ, ძირს დაშვება
დაიწყო — საევიაციო ნავთის მარაგი
გათავდა და ძრავა მართლაც გამოირთო.

დილის 10:37 სთ-ზე, პოლონეთის
აეროდრომიდან აფრენიდან ზუსტად 79
წთ-ის შემდეგ, დაახლოებით 11 ტ მასის
საბჭოთა გამანადგურებელი MiG-23M
(საჭურვის გაზარჯვის შემდეგ ცარიელი
თვითმფრინავის მასა 11 ტ-მდე იკლებს)
საბორტე ნომრით №29, ბელგიურ სი-
ფელ ბელგეკში ფერმას დაეცა. დაი-
წლება 19 წლის ბელგიელი სტუდენტი
ვიმ დელან, რომელიც საევილეზე
წასული მშობლების დაბრუნებას შინ
ელოდებოდა.

უპილოტო რეჟიმში პოლონეთიდან
ბელგიამდე საბჭოთა MiG-მა თითქმის
900 კმ გაითფრინა იმისთვის, რომ ერთ
პატარა სიფელში უდანაშაულო სტუ-
დენტს მოეკლა.

სხვათა შორის, იმ დღეს საფრან-
გეთში ოფიციალური ვიზიტით იმყო-
ფებოდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენ-
ტი მიხაილ გორბაჩოვი და უპილოტო
MiG-ს სულ რაღაც ასიფელ კმ-იღა
დააკლდა, რომ საფრანგეთში გორბაჩო-
ვისთვის „ჩაეკითხა“.

საბჭოთა კავშირის სხვა არაფერი
დარწმუნოდა, რომ ევლარებინა თავისი
დანაშაული, მათ უმეტეს, რომ მიწაზე
დაცემისას MiG-23 არ აფეთქდა და მის
გადარჩენილ კილზე ყველას შეეძლო
ენახა ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი.

მოსკომა ბელგიას კომპენსაცია 685
ათასი დოლარი გადაუხადა (სხვა მონა-
ცემებით — 800 ათასი). საბჭოთა საევი-
ალისტები დაუშვეს კატასტროფის აღ-

ვილას და შემდეგ MiG-ის ნაწილებიც
გაატანეს მოსკოვში, სადაც გაირკვა,
რომ გამანადგურებლის ძრავას ბოლო
წლის განმავლობაში ხუთჯერ გაველო
რემონტი, რაც თავისთავად უკვე არა-
რწინამაღურ მოვლენად ითვლებოდა.

MiG-ის კატაკულტურებულმა მფრი-
ნავმა პოლკოვნიკმა სკურიდინმა დალე-
პული ბელგიელი ახალგაზრდის ოჯახს
სამძიმისი წერილი გაუგზავნა. თავად
პოლკოვნიკი დამნაშავედ არ უცნიათ,
მაგრამ ამით მისი სამხედრო კარიერის
ზრდას წერტობი დაესვა.

ირაკლი ალადაშვილი

ანალოგიური ტიპის გამანად-
გურებლები, ოღონდ MiG-23M1
მოდელიკაციით, საქართველოში
კერძოდ კი, ვაზიანის სამხედრო აე-
როდრომიზე, მახირებდნენ, სადაც
განთავსებული იყო 34-ე საპაერო
არმიის 982-ე გამანადგურებელი
საევიაციო პოლკი. ვაზიანისად აფ-
რენისას ეს MiG-ები თბილისის აე-
როპორტის ახლოს განამარტუბელი
ხმით გადავიდნენ და ბუერს შექმ-
ლო მათი დანახვა. 80-იანი წლები
შეუახანებში ვაზიანში ამ MiG-ებს
ცდიდნენ დაბალ სიმაღლეზე რე-
ლიდერის მითვლებით ფრენის აპა-
რატურის დასარეგულირებლად.
ამვე პერიოდში ვაზიანის პოლკის
MiG-ების ექსკადრილობები რამდენ-
ნიმე თვით მიფლენიებით ავღანეთში
იგზავნიდნენ.

MiG-23M-ების (სწორედ იმ მო-
დიფიკაციის, რომელმაც პოლონე-
ტიდან ბელგიამდე 900 კმ უპილო-
ტოდ იფრინა) შეიარაღებულო იყო
84-ე გამანადგურებელ-ბომბდამშე-
ნების საევიაციო პოლკი, რომელიც
დისლოცირებულო იყო მერიის აე-
როდრომიზე, ოზურგეთისთან.

ასე რომ, MiG-23-ები საქართვე-
ლოს ცაში ინტერსიულად დაფრი-
დნენ და არ იყო გამორიცხული
ანალოგიური შემთხვევა ჩვენიანაც
მოხდარიყო.

**1980-იან წლებში მერიის აეროდრომიზე
გადაღებული საბჭოთა MiG-23M-ი**



ჩინური „ბულკაპები“

სხვისი იარაღის კონიკებით სხელბანთქეული ჩინეთი უნიკალურ ვაზნაზე გათვლილი ავტომატებითა და პისტოლებ-გყვიანოჭკვევებით აიარაღებს არმიას

აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის მიბაძვით, რომლებმაც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში 7,62 მმ-იანი ავტომატური იარაღი შესაბამისად, 5,56 და 5,45 მმ-იანებით ჩანაცვლეს, ჩინეთმა საკუთარი ახალი კალიბრის შექმნა განიზრახა.

ეს ცოტა უჩვეულოდ მოჩანდა იმ ჩინეთისთვის, რომელიც არაფრის კოპირებაზე არ ამბობდა უარს — დაწყებული

ბული მაიცვრებით და დამთავრებული თვითმფრინავებით.

80-იან წლებში ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შეიარაღებაში რამდენიმე

სახის ცეცხლსასროლი იარაღი იყო, მათ შორის მოძველებული საბჭოთა კარბინები და „კალაშნიკოვის“ ზაზაზე შექმნილი კლონები.

ჩინეთის ხელმძღვანელობამ მართლაც გრანდიოზული პროექტის განხორციელება განიზრახა, როდესაც რამდენიმე მილიონიანი ჩინეთის არმიის გადაიარაღება ახალი, უნიკალურ ვაზნაზე გათვლილი ავტომატებით გადაწყვიტა.

გამოცდას, ძირითადად, სამი: 5,8; 6 და 6,2 მმ კალიბრის ავტომატები გადიოდნენ. საბოლოოდ არჩევენი 5,8 მმ კალიბრის ვაზნაზე შეჩერდა.

1987 წელს ჩინეთის არმიის შეიარაღებაში ოფიციალურად მიიღეს 5,8X42 მმ კალიბრის DAP-87 ტიპის ვაზნა, რომელიც ჩინელი სპეციალისტების მტკიცებით მაჩვენებლებით ჯაბნის როგორც რუსულ 5,45-ის, ისე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 5,56 მმ კალიბრის ვაზნებს.



საექსპორტო
5,56 მმ-იანი

დამოკლებულულუიანი
ჩინური ავტომატი QBZ-97B

მოკვანებით ამ კალიბრის ვაზნის საფუძველზე სნაიპერული შაშხანებისა და ტყვიამფრეკვებისთვის შეიქმნა უფრო მძიმე და შორსმფრენი ტყვიის მქონე ახალი ვაზნაც.

ჩინელმა სპეციალისტებმა ახალი 5,8 მმ კალიბრის ვაზნისთვის გათვლილი ავტომატი, ტყვიამფრეკვი და სნაიპერული შაშხანა შექმნეს, ხოლო ამ ვაზნის დამოკლებულ ვარიანტზე კი პისტოლეტ-ტყვიამფრეკვი.

5,8 მმ კალიბრის ახალი ავტომატი ჩინეთის ხელმძღვანელობამ პირველად 1997 წელს აჩვენა, როდესაც პონკინგი ჩინეთის მმართველობაში გადავიდა — ამ დღეს ახალი ავტომატებით პონკინგის „კომუნისტური“ გარნიზონი იყო შეიარაღებული.

ამ ავტომატს „რეიბი 95“-ითაც მოიხსენიებენ, აქვს დასავლური სახელწოდებაც — QZB-95 („მსუბუქი შაშხანების ოჯახი“).

ამ ოჯახში შედის სტანდარტული და დამოკლებულლულიანი ავტომატები, ხელის ტყვიამფრეკვეები, ასევე სნაიპერული შაშხანები. ყველა მათგანი 5,8X42 მმ კალიბრის ვაზნისთვის არის გათვლილი. სხვათა შორის, ჩინეთი, რომელიც იარაღის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია მსოფლიოში, თავის ორიგინალურ ვაზნას და არც ამ კალიბრზე შექმნილ იარაღს არ ყიდავს.

ჩინური ავტომატი QZB-95 გამოირჩევა არა მარტო უნიკალური კალიბრით, არამედ დიზაინითაც. იგი „პულპაის“ სქემითაა დამზადებული (სასხლეტი მრავლის წინაა განთავსებული) და რადიციტ ჰაერს ფრანგულ FAMAS-ს, თუცა მაინც განსხვავდება მისგან როგორც ფორმით, ისე ავტომატიკის სქემით.

ავტომატის კორპუსში ფართოდაა გამოყენებული გამძლე პლასტიკი, ხოლო ლულის კოლოფში კი ალუმინის შენადნობი.

QZB-95-ის ავტომატიკა ძალიან ჰგავს საბჭოთა სნაიპერულ СВД-ში გამოყენებულს — ლულის ჩაყვტა საყვტის სამ საბრძოლო საყრდენზე მობრუნებით ხდება, ლულის თავზე განთავსებული აირბრაჟაჟი დგუშში მცირე მანძილზე გადაადგილდება.

გადამტენი სახელური იარაღის თავზეა ისე, როგორც ფრანგულ ავტომატში, რაც ცაიხისთვისაც მოსახერხებულს ხდის გადატენას. თუცა ცაიხებს ჩინური QZB-95-ის სროლისას დიდი დისკომფორტი შეექმნებათ, რადგან გასროლილი ვაზნების მასრების

ჩხივი ღონიმი: რამდენად ახლო რეალობასთან ჩინელი სპეციალისტების მტკიცება, თითქოს მათი 5,8 მმ-იანი ავტომატის ვაზნა ჯობნის ამერიკულ 5,56 მმ-სა და რუსულ 5,45 მმ-იან ვაზნებს?

სტანდარტული ავტომატის სროლისას 5,8X42 მმ ვაზნის 4,15 გ მასის ტყვიის საწეხის სიჩქარე 930 მ/წმ-ია, ხოლო ლულიდან გამოვლით ენერგია კი 1790 ჯოულს უტოლდება.

5,56X45 მმ კალიბრის M885 ტიპის ვაზნის (სხვათა შორის, ქართული არმიის M4 ტიპის ავტომატური კარაბინებისთვის სწორედ ამ ვაზნის პარტიებით იყიდეს) ტყვიის მასა 4,15 გ-ია, საწეხის სიჩქარე 930 მ/წმ-ს, ხოლო ლულის ენერგია 1790 ჯოულს აღწევს (ეს მონაცემები 50 სმ სიგრძის ლულის მქონე ავტომატური შაშხანის სროლის დროსაა აღებული), ანუ რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, სამდე მონაცემი (ტყვიის მასა, საწეხის სიჩქარე და ლულის ენერგია) ანალოგიურია.

რუსული 5,45X39 მმ კალიბრის 7H6 ტიპის ვაზნის ტყვიის მასა 3,43 გ-ია. 41,45 სმ სიგრძის ლულის მქონე AK-74-ის გასროლისას მისი ტყვიის საწეხის სიჩქარე 880 მ/წმ-ს, ხოლო ლულის ენერგია კი 1328 ჯოულს აღწევს.

გამოდის, თავისი მახასიათებლებით ჩინურიც და ამერიკული ვაზნები მართლაც ჯობნის რუსულს, თუცა ისიც მსდველობაში უნდა მივიღოთ, თუ რა სიგრძის ლულის მქონე იარაღით გაისვრიან. მაგალითად, 35 სმ სიგრძის ლულის მქონე ავტომატური კარაბინის (მაგალითად M4-დან) სროლისას 5,56 მმ ტყვიის საწეხის სიჩქარე 50 მ/წმ-ით იკლებს (930-დან 880 მ/წმ-მდე), ხოლო ლულის ენერგია 1790-დან 1600 ჯოულამდე.

იგივე ითქმის რუსულ ვაზნაზეც. თუკი დამოკლებულლულიანი AKC-74V-ს ისვრიან (რომლის ლულის სიგრძე მხოლოდ 21 სმ-ია), ტყვიის საწეხის სიჩქარე 880 მ/წმ-დან (41,5 სმ სიგრძის ლულის მქონე AK-74-ის შემთხვევაში) 735 მ/წმ-მდე იკლებს, ხოლო ლულის ენერგია კი 1328 ჯოულიდან 926-მდე.

ანალოგიურად ეცემა ჩინური 5,8 მმ კალიბრის ვაზნის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებიც — დამოკლებულლულიანი ავტომატის სროლისას ტყვიის საწეხის სიჩქარე 930 მ/წმ-დან 790 მ/წმ-დე იკლებს, ლულის ენერგია კი 1790-დან 1290 ჯოულამდე.



5,8X42 მმ კალიბრის ავტომატის ვაზნა სხვადასხვა ტყვიებით



ჩინური საყვტარაზმი ახალი ავტომატებით



5,8 მმ კალიბრის ჩინური ტყვიამფრქვევი QBZ-95-ი
3,9 კგ-ს იწონის მჭიდის გარეშე და მისი სიგრძე 840 მმ-ია



გამომკვლეები ფანჯარა იარაღის მხოლოდ მარჯვენა მხარესაა.

ჩინურ ავტომატზე აყენებენ ლულისქვეშა 40 მმ-იან ყუმბარასატყორცსა და ხიშტ-დანას. იარაღის გადასატან სახელურზე კი სხვადასხვა ტიპის ოპტიკური სამიზნეები და ღამის ხედვის მოწყობილობა მაგრდება.

QBZ-95 ტიპის ავტომატის ბაზაზე ჩინელმა სამხედროებმა 2005 წელს პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი შექმნეს.

პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის, სახელწოდებით „ტიპი 05“, გარე დიზაინი ძალიან ჰგავს QBZ-95-ისას, თუმცა მისი ავტომატიკა დაფუძნებულია თავისუფალი საკეტის მოქმედებაზე, სროლა კი ღია საკეტიდან მიმდინარეობს, ანუ ყოველი გასროლის შემდეგ საკეტი უკანა ღია მდგომარეობაში რჩება.

თუკი ჩინური ავტომატის მხოლოდ ერთჯერადი და ავტომატური ჯვრით სროლა შეიძლება, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევით დამატებით 3-3 ტყვიის ჯვრითაც შეუძლია სროლა.

მაგრამ მათი მთავარი განსხვავება

ჩვენი დონია: ჩინური ავტომატის QBZ-95-ის სიგრძე 760 მმ-ია, აქედან ლულის სიგრძე 490 მმ-ს შეადგენს, გაზნების გარეშე ავტომატი 3,35 კგ-ს იწონის. მის მჭიდში 5,8X42 მმ კალიბრის 30 ვაზნა ჩადის.



QBU-88 ტიპის ჩინური სნაიპერული შაშხანიდან 5,8 მმ კალიბრის ტყვიის სროლის ეფექტური მანძილი 800 მ-ს უტოლდება

სწორედ ვაზნებშია. ტყვიის კალიბრი ორივესთვის 5,8 მმ-ია, ოღონდ ავტომატ QBU-95-ში გამოყენებულია 5,8X42 მმ კალიბრის ვაზნა, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევეში კი 5,8X21 მმ კალიბრისა, ანუ ვაზნის მასრის სიგრძე ზუსტად ორჯერაა შემცირებული.

ამ კალიბრის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები ჩინეთის სახალხო ძლიერების შეიარაღებაშია, ასევე გადის ექსპორტზე.

საექსპორტოდ ჩინეთის ხელმძღვანელობამ ბოლოს და ბოლოს, თავისი ორიგინალური ავტომატი QBU-95-ც „გაიმეტა“, ოღონდ მასაც შეუცვალა კალიბრი (5,8 მმ-ს ნაცვლად 5,56 მმ) და QBU-97-ის სახელწოდებით იარაღის მსოფლიო ბაზარზე მსურველებს სთავაზობს.

ირაკლი ალადაშვილი

ჩვენი ღოსიმი: ახალი ჩინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის „ტიპი 05“-ისთვის გათვალისწინებული 5,8X21 მმ DAP92-5,8 ტიპის ვაზნის ტყვიის მასა 2,99 გ-ია, ტყვიის საწვების სიწქარე — 480 მ/წმ, ხოლო ტყვიის საწვების ენერჯია კი 344 ჯოული. ამ ვაზნის შექმნისას მთავარი მოთხოვნა იყო, რომ მის ტყვიას 50 მ-იდან უნდა გაჭვრიტა ჩინელი ჯარისკაცის სტანდარტული ჩაფხუტი.



ამ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ბაზაზე დამზადდა საპოლიციო იარაღი, რომელშიც შეიცვალა კალიბრი და იგი მასობრივად გავრცელებული 9X19 მმ „ლუგერის“ ვაზნაზეა გათვლილი.



ჩვენი ღოსიმი: ნახევარი მეტრი სიგრძის ჩინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი „ტიპი 05“ ვაზნების გარეშე 2,2 კგ-ს იწონის. მის ოთხრიგოვანი მჭიდში 5,8X21 მმ კალიბრის 50 ვაზნა ჩადის.

670/37



QBJ-88



საარტილერიო